ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 492

"29" დეკემბერი 2015 წ.

ქ. თბილისი

„შპს „მომავლის სკოლასთან" 2001 წლის პირველ ნოემბერს გაფორმებულ იჯარის ხელშეკრულებაში (რეესტრში რეგისტრაციის №1/4313) ცვლილებების შეტანისა და წლიური საიჯარო ქირის, საიჯარო პირობების ახალი რედაქციით ჩამოყალიბების შესახებ" ქალაქ თბილისის მთავრობის 2012 წლის 15 ნოემბრის №31.19.1121 დადგენილების საიჯარო პირობების 3.1 პუნქტით განსაზღვრული საიჯარო ქირის გადახდის ვალდებულების შეუსრულებლობისათვის დაკისრებული და მხარეთა შორის საბოლოო შეთანხმების მიღწევამდე დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან გათავისუფლებაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ვ" ქვეპუნქტის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილებით დამტკიცებული ,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის" 66-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის" მე-14 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. თანხმობა მიეცეს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2015 წლის 23 დეკემბრის №51.29.1471 განკარგულების შესაბამისად, „შპს „მომავლის სკოლასთან" 2001 წლის პირველ ნოემბერს გაფორმებული იჯარის ხელშეკრულებაში (რეესტრში რეგისტრაციის №1/4313) ცვლილებების შეტანისა და წლიური საიჯარო ქირის, საიჯარო პირობების ახალი რედაქციით ჩამოყალიბების შესახებ" ქალაქ თბილისის მთავრობის 2012 წლის 15 ნოემბრის №31.19.1121 დადგენილების საიჯარო პირობების 3.1 პუნქტით განსაზღვრული საიჯარო ქირის გადახდის ვალდებულების შეუსრულებლობისთვის დაკისრებული და მხარეთა შორის საბოლოო შეთანხმების მიღწევამდე დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან გათავისუფლებაზე.

2. განკარგულება ერთი თვის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6).

საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ალიბეგაშვილი